



ა მ ო ნ ა წ ე რ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
2021 წლის 1 თებერვლის
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი დ ა ნ

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.11
სხდომის დაწყების დრო: 17:00

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, ნათია კორკოტაძე, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე, გიორგი ტურაზაშვილი.
დისტანციურ რეჟიმში (Webex პლატფორმის გამოყენებით) მონაწილე წევრები: მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 6. 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2020 წლის 19 ნოემბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2020 წლის 1-ელ დეკემბერს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

აღმასრულებელი საბჭოს 30.12.2020 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და შესაბამისად საწევრო

დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა 20 კალენდარული დღით, 2021 წლის 20 იანვრამდე.

აღმასრულებელი საბჭოს 20.01.2021 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა დამატებით კიდევ 12 კალენდარული დღით, 2021 წლის 1-ელ თებერვლამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან დღემდე, საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების ინფორმირება ინტენსიურად ხორციელდებოდა: საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია გამოქვეყნდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ამასთან, შესაბამის წევრებს ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე არაერთხელ გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ასოციაციისთვის ცნობილ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე. ასოციაციის წევრთა ნაწილმა მომართა ასოციაციას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თხოვნით, რომელიც დაკმაყოფილდა. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, 2021 წლის 1-ლი თებერვლის მდგომარეობით ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობა, რომელთაც არც დავალიანება დაუფარავთ და არც დავალიანების გადახდის გადავადებით მოუმართავთ ასოციაციისათვის, არის 459 წევრი.

თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფარულ კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0; სხდომაში დისტანციურად ჩართულ წევრებს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ), მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

(ა) აღმასრულებელი საბჭოს 19.11.2020 წლის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გამოცემულ იქნას ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრებს შეუწყდეთ ასოციაციის წევრობა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის 1-ლი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო (დანართი #1: დავალიანების მქონე წევრთა სია);

(ბ) ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ წევრთა სია განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge. ამასთან, ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, ასოციაციისათვის ცნობილ მობილური ტელეფონის ნომრებზე გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მათთვის წევრობის შეწყვეტის თაობაზე;

(გ) ეცნობოთ ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, რომ მათ მიერ 2021 წლის 01 მარტის ჩათვლით საწევრო დავალიანების გადახდის შეთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგებათ ასოციაციის წევრობა.

(დ) 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე იმ წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს წინამდებარე გადაწყვეტილებით 2021 წლის 15 აპრილამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 01.02.2021 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge. წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე